პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 262 (10038)

ხუთშაბათი, 4 ნოემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან).

ხალხები დაიცავენ მშვიდობის საქმეს!

ყველა ქვეყანაში ფართოდ ჩაღდება ბრძოლა მშვიდობისათვის. ხალხთა მასები აქტიურად იცავენ თავიანთ სისხლხორცეულ საქმეს — მშვიდობასა და შემოქმედებითს შრომას.

ახლა ისტორიული პირობები სრულიად არა ჰგავს იმ ისტორიულ პირობებს, რომლებშიც იმპერიალისტებმა მოახერხეს გაეჩაღებინათ პირველი, ხოლო შემდეგ მეორე მსოფლიო ომი. ახლა უკვე კაცობრიობის მესამედმა მოიშორა ბორკილი იმპერიალიზმისა, რომელიც იწვევს ომებს და დაინტერესებულია მათი გაჩაღებით. საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მშვიდობის ურყევი ბასტიონია.

ახლა კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ფართო მასებიც ის აღარ არიან, რაც წინათ იყვნენ. მათ ბევრი რამ ისწავლეს ორი ომის ისტორიული გამოცდილებით. გაიზარდა მათი შეგნებულობა, ორგანიზებულობა, გაძლიერდა მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, განმტკიცდა მისწრაფება დაიცვან მშვიდობის საქმე.

მთელი მსოფლიოს მშრომელები, ყველა პატიოსანი ადამიანი მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივით, რასაც ხელი შეუწყო ყველა ხალხის მედგარმა ბრძოლამ მშვიდობისათვის, კორეაში შეწყდა ომი, რომელიც გაჩაღებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების მიერ. მშვიდობის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის აქტიური მოღვაწეობის შედეგად ჩაქრობილ იქნა ომის კერა ინდოჩინეთში. ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი მიესალმა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 12 ოქტომბრის ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც ორივე დიდმა სახელმწიფომ განაცხადა, რომ ისინი თავიანთ ურთიერთობას აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებთან, კვლავაც ააგებენ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთავდაუსხმელობის, საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობის, თანასწორობის, ურთიერთსარგებლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე.

მშვიდობისმოყვარე ხალხებმა ჯეროვნად შეაფასეს კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა და რომელთა მიზანია ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა და გერმანიის საკითხის გადაჭრა. ყველა ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ეწევიან თანმიმდევრულ ბრძოლას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, შეიარაღების შემცირებისათვის, რომ ისინი დაუცხრომლად ახორციელებენ ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზაციის ლენინისეულ პრინციპებს, ყოველი ღონისძიებით აფართოებენ ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას სხვა ხალხებთან, რითაც ხელს უწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების თანმიმდევრულ და დაუცხრომელ ბრძოლას.

ამ ვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები და მათი პარტნიორები სამხედრო ბლოკებში, რაკი დარწმუნდნენ, რომ მათი პოლიტიკა საყოველთაო დაგმობას ხვდება, სულ უფრო ხშირად მიმართავენ შენიღბვას და ფარავენ თავიანთ აგრესიულ მოქმედებას ფარისევლური ლაპარაკით „მშვიდობისმოყვარეობაზე“. მაგრამ განა აზიაში ისეთი აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნა, როგორიც არის ცნობილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკი, რომელსაც ბურუუაზიული პოლიტიკური მოღვაწეებიც კი ახასიათებენ როგორც ომის იარაღს, მშვიდობას იწვევს? განა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები გულმოდგინედ არ ცდილობდნენ ჩაეშალათ ჟენევის თათბირი და ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ომის დამთავრებას ინდოჩინეთში? განა ამერიკის შეერთებულ შტატებს ოკუპირებული არა აქვთ ჩინეთის კუნძული ტაივანი და თავიანთ მარიონეტებს არ აქვზებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ?

სწორედ დასავლეთის ქვეყნების, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების, მმართველი წრეები ხალხთა ნების წინააღმდეგ ცდილობენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას. მხოლოდ ბრმები ვერ დაინახავენ, რომ შეიარაღება დასავლეთ გერმანიისა, სადაც ხელისუფლების სათავეში მილიტარისტები და რევანშისტები არიან, იწვევს არა მშვიდობას, არამედ ომს, საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებას. ომის თავაშვებული პროპაგანდა, გამალებული შეიარაღება, საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის პოლიტიკა, მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ პოლიციური ტერორისა და დევნის გაძლიერება — ასეთია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ საერთაშორისო აგრესიული წრეების პოლიტიკას. სწორედ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძვიან ხალხები, რადგან მათ შეგნებული აქვთ: ასეთი პოლიტიკა იწვევს ომს, განუმზადებს მშრომელებს ახალ გაჭირვებასა და უბედურებას. ფრანგმა პატრიოტებმა, რომლებსაც მხარი დაუჭირა ევროპის ყველა ხალხმა, მტკიცედ გამოთქვეს თავიანთი ნება და მიაღწიეს იმას, რომ უარყოფილ იქნა დამლუპველი ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი. მაგრამ ახლა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს თავს ახვევენ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას სხვა სახელწოდებით — „დასავლეთ ევროპის კავშირის“ სახელწოდებით.

მაგრამ ხალხები თავს არავის მოატყუებინებენ! მშვიდობის მტრების ახალ ხრიკებს ისინი უპასუხებენ მშვიდობისათვის ბრძოლის ახალი აღმავლობით. საფრანგეთში ამ დღეებში მშვიდობის ეროვნული საბჭოს ბიუროს ინიციატივით ეწყობა პარლამენტის დეპუტატებისადმი მიმართვაზე ხელმოწერის საყოველთაო-სახალხო შეგროვება. ეს მიმართვა შეიცავს მოთხოვნას — უარი თქვან ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციაზე. დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ პროტესტების ტალღა სულ უფრო ძლიერდება ინგლისშიც, იტალიაშიც, ევროპის სხვა ქვეყნებშიც, და არა მარტო ევროპის ქვეყნებში.

თვით გერმანიაში ხალხის უმრავლესობა გამოდის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის ამასწინანდელი არჩევნების შედეგები. ამ არჩევნებში 12 მილიონამდე გერმანელმა მოქალაქემ ხმა მისცა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის კანდიდატებს, ეროვნული ფრონტისა, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს როგორც მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანებისათვის. დასავლეთ გერმანიაში მილიტარისტთა შეიარაღების წინააღმდეგ გამოდიან კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და სხვა ოპოზიციური პარტიები და ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ 9 მილიონზე მეტ ამომრჩეველს.

დედამიწის ყოველ კუთხეში კეთილი ნების ადამიანები, და უწინარეს ყოვლისა მშრომელი მასები, აწყობენ ბრძოლას ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ. აზიისა და ამერიკის, ავსტრალიისა და ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მძლავრად გაისმის მშვიდობისათვის მებრძოლთა საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ხმა. ამ მოძრაობამ მდიდარი გამოცდილება შეიძინა. იგი სახავს კონკრეტულ, ნათელ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ თვითეულ ქვეყანაში მშვიდობისათვის ბრძოლის განვითარებიდან. ეს მოძრაობა დღითიდღე მტკიცდება.

გამოხატავს რა მშვიდობისათვის ასეულ მილიონობით მებრძოლის მოთხოვნებს, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე ცნობილი მეცნიერი ფრედერიკ ჟოლიო-კიური თავის განცხადებაში, რომელიც დღეს ქვეყნდება „პრავდაში“, სამართლიანად აღნიშნავს:

„მომავალ კვირეებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მშვიდობის ბედისათვის. უდიდესი საფრთხე, რომელსაც მშვიდობის შენარჩუნებას უქმნიან ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, აუცილებელს ხდის მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ენერგიულ მოქმედებას. უშუალოდ დაინტერესებული ქვეყნების მოქალაქეებმა დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ, რადგან მთავრობები, რომლებმაც შეიმუშავეს და ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებებს, ცდილობენ მიაღწიონ მათ უსწრაფეს რატიფიკაციას“.

მიმართავს რა მშვიდობისათვის ყველა მებრძოლს, ფრედერიკ ჟოლიო-კიური მოუწოდებს გააძლიერონ ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობა ერთიულთა მოძრაობა როდია. **მისი ძალა მასობრივობაშია.** ქალაქებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშები და მოსამსახურეები, გონებრივი შრომის მუშაკები, ორგანიზებულნი პროფკავშირებში, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, გამოდიან არაორგანიზებულ მშრომელებთან ერთად. სოფლებში მრავალმილიონიანი კოოპერაციული და კლუბთა ორგანიზაციები, მთელი სოფლის მოსახლეობა აქტიურად ებმება ამ მოძრაობაში.

მშვიდობის დაცვის საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ ისეთმა მასობრივმა ორგანიზაციებმა, როგორიც არიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელსაც 80 მილიონზე მეტი წევრი ჰყავს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომლის რიგებში 140 მილიონი ქალი იბრძვის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, და სხვა მასობრივმა ორგანიზაციებმა. ყველა ქვეყანაში იმართება მიტინგები და კრებები, იგზავნება დელეგაციები პარლამენტებში, ეწყობა ხალხის გამოკითხვა, გასაუბრება, — ათასობით სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს წარმოშობს მშვიდობისათვის მებრძოლი მასების შემოქმედებითი ინიციატივა.

თანამედროვე ისტორიულ პირობებში ხალხთა წინაშე დასახულია დიდი მიზანი — დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობის საქმე. დიდი მიზანი დიად ენერგიასაც წარმოშობს. ხალხებს აქვთ ეს ენერგია, მათთვის ნათელია გზაც, რომელიც ამ მიზნისაკენ მიდის.

საბჭოთა ხალხი იყო და მუდამ იქნება მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც მტკიცედ სწამთ მშვიდობის ძალების გამარჯვება ომის შავბნელ ძალებზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის წინ ამბობენ:

— ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ხალხთა ფრონტს მტკიცე მშვიდობას!

„პრავდის“ 3-XI მოწინავე.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ათი ნორმა ცვლაში

ბაქო, 2 ნოემბერი. (საკდესი). დიდი ბრუნვით ამუშავებს თავის ჩარხს ნავთობის მოწყობილობის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ახალგაზრდა ხარატი ბალა დადაში. საოქტომბრო შრომითს ვახტზე კომკავშირელმა ბალა დადაშმა მექანიკურ საამქროში უმაგალითო გამომუშავებას მიაღწია. მან შეცვალა საჭრისის ალესვა, გამოიყენა სპეციალური ხელსაწყო, რომელიც აჩქარებს დეტალების დადებას და გადმოღებას და თვითეული ნაკეთობის დამუშავების დრო 35 წუთიდან 3 წუთამდე შეამცირა, რის შედეგადაც გუშინ ცვლაში დაცალება 1.035 პროცენტით შესრულდ.

წინასადღესასწაულო დღეებში მაღალ გამომუშავებას მიაღწია საწარმოს ბევრმა მუშამ. ამხ. საფარიანი, რომელიც სამ ჩარხს უწევს მომსახურებას, თვითეული ჩარხით ორ ნორმას ასრულებს. ხარატი ტომბასოვი, მბურღავი სტეპანოვა, მღარველი ლომაკო და სხვები დაცალეს 300-350 პროცენტით ასრულებენ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევიან. საწარმოს მუშების საშუალო გამომუშავებამ ნორმის 170 პროცენტს მიაღწია.

შემოდგომა კავკასიის მინერალური წყლებზე

კისლოვოდსკი, 2 ნოემბერი. (საკდესი). თბილი და მშრალი შემოდგომა დადგა კავკასიის მინერალური წყლების კურორტებზე. ისე როგორც ზაფხულის თვეებში, ხალხით სავსეა კისლოვოდსკის, ესენტუკის, პიატიგორსკის, ჟელეზნოვოდსკის ასევე სანატორიუმი და პანსიონატი. აქ ახლა მკურნალობს ოცი ათასი მშრომელი.

დიდი დატვირთვით მუშაობს კურორტის ყველა ბალნეოლოგიური დაწესებულება. გამოცოცხლებულია საკავშირო პროფსაბჭოს ტურისტულ-საექსკურსიო ბაზებში.

ერთი წლის მანძილზე კისლოვოდსკის, პიატიგორსკის, ესენტუკისა და ჟელეზნოვოდსკის სანატორიუმებში იმკურნალებს მეოთხედ მილიონი მშრომელი.

★ ★

უკზახეთის სსრ უარაგანდის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

ყარაგანდის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 5 მილიონ 536 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე მთელი გასული წლის განმავლობაში. კოლმეურნეობები განაგრძობენ პურის ჩაბარებას მტს-ების მუშაობისათვის გადაცემული ანგარიშების მიხედვით და სახელმწიფო შესყიდვის წესით და მარცვლეულს აძლევენ კოლმეურნეებს შრომადღეებზე.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სავსებით უზრუნველყვეს თავისი თავი 1955 წლის საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო თესლით, ახლა აწარმოებენ მზრალად ხვნის სამუშაოებს და ემზადებიან პირუტყვის ორგანიზებულად გამოზამთრებისათვის.

ველიკიე ლუკის ოლქის კოლმეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

ველიკიე ლუკის ოლქის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურისა და საბოჭკოე სელის თესლის დამზადების სახელმწიფო გეგმა. კოლმეურნეობები განაგრძობენ პურის ჩაბარებას მტს-ების მუშაობისათვის გადაცემული ანგარიშების მიხედვით და სახელმწიფო შესყიდვის წესით, ინახავენ საგაზაფხულო კულტურების თესლს და კოლმეურნეებს პურს აძლევენ შრომადღეებზე.

კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა შეასრულეს საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა, ეწევიან მზრალად ხვნას და ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

გროზნოს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

გროზნოს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. გრძელდება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება მტს-ების მუშაობისათვის გადაცემული ანგარიშების მიხედვით და სახელმწიფო შესყიდვის წესით.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა, სავსებით უზრუნველყვეს თავიანთი თავი საგაზაფხულო კულტურების თესლით და ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

დ. ი. მენდელეევის მემორიალური მუზეუმის შევსება

ლენინგრადი, 2 ნოემბერი. (საკდესი). მეტროლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებულ — დ. ი. მენდელეევის მემორიალურ მუზეუმ-კაბინეტს გადაეცა მეცნიერის 1905 წლის 8 დეკემბრის გამოუქვეყნებელი წერილი. იგი მიწერილია საპნის ქარხნის მფლობელის ა. ეუკოვისადმი იმის პასუხად, რომ მენდელეევი მიიწვიეს შესულიყო მსხვილ კაპიტალისტთა პარტიის, ეგრეთწოდებული „პროგრესულ-ეკონომიური პარტიის“ წევრად. გაეცნო რა ამ პარტიის პროგრამას, მენდელეევმა კატეგორიულად უარი განაცხადა მასში შესვლაზე.

ლენსაბჭოს სახელობის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა მუზეუმს საჩუქრად გადასცა იშვიათი ფოტოსურათი. სურათზე გადაღებულია პროფესორთა ჯგუფი მენდელეევის მეთაურობით, რომლებიც შედიოდნენ ამ ინსტიტუტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში 1898 წელს. სვერდლოვსკიდან მიღებულია ფოტოსურათი, რომელზეც გადაღებულია მენდელეევი 1899 წელს ურალში ყოფნის დროს კუშვის ქარხნის ინჟინერთა ჯგუფთან ერთად.

მუზეუმს გადაეცა აგრეთვე ესტონეთის სსრ სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ლ. მუუნის მიერ შესრულებული სურათის რეპროდუქცია. სურათზე დ. ი. მენდელეევი ნაჩვენებია იმ მომენტში, როცა სიტყვას ამბობს ტარტუს უნივერსიტეტის საიუბილეო დარბაზში 1902 წელს ჩვენი ქვეყნის ამ უძველესი სასწავლებლის 100 წლისთავის დღესასწაულის დროს.

გამოფენა „საბჭოთა მეცნიერება ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში“

ლენინგრადი, 2 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ლესნოეში, მეცნიერთა სახლში გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა მეცნიერება ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში“.

გამოფენა იწყება მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისადმი მიძღვნილი განყოფილებით. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამ უდიდესი უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებმა მრეწველობისათვის შეასრულეს ათასზე მეტი მეცნიერული გამოკვლევა ჰიდროტექნიკაში, მეტალურგიაში, ელექტროტექნიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში. წარმოების მუშაკთათვის მეცნიერმა პოლიტექნიკოსებმა წაიკითხეს სამნახევარი ათასი მოხსენება და ლექცია, მისცეს 12 ათასზე მეტი კონსულტაცია.

ბ. ე. ვედენეევის სახელობის ჰიდროტექნიკის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სტენდებზეა ექსპონატები და მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ ნერგავენ მეცნიერები ჰიდრავლიკურ გამოკვლევათა ახალ ხერხებს, როგორ ვითარდება ბეტონის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აშენების ინდუსტრიული მეთოდები. ამის მეთხებით მიღწეულია სახსრების დიდი ეკონომია კახოვკის ჰიდროკვანძის, კამისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

მთელი რიგი საინტერესო მასალები წარმოადგენს გამოფენაზე სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა.

სატყეო მეურნეობანი — სოფლის მეურნეობას

ალმა-ათა, 2 ნოემბერი. (საკდესი). ყაზახეთის სატყეო მეურნეობებმა ვადამდე დაამთავრეს სოფლისათვის ფართო მოხმარების საგნების გამოშვების წლიური გეგმის შესრულება. გამოშვებულია შვიდნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია — ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე მთელი გასული წლის მანძილზე. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა, სოფლის მოსახლეობამ მიიღეს რვა ათასი კუბური მეტრი დახერხილი მასალა, მნიშვნელოვანი რაოდენობით სამშენებლო დეტალები და ავეჯი. გამოშვებულია 2.300 მარხილი, ორი ათასამდე კასრი, დიდძალი რკალი, ნიჩაბი, ფისი, კუპრი, ნახშირი.

მოწყობილობა ახალი საბჭოთა მეურნეობებისათვის

კრინიჩნაია (ხტალინოს ოლქი), 1 ნოემბერი. (საკდესი). დერგაჩოვის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ ვადამდე შეასრულა ყამირ და ნასვენ მიწებზე შექმნილი ახალი საბჭოთა მეურნეობების ყველა დაკვეთა. ვადაზე ორი თვით ადრე მათ გაეგზავნათ ჩარხების დიდი პარტია.

ახალი საბჭოთა მეურნეობებისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 60 ათასი სხვადასხვა სათადარიგო ნაწილი და ინსტრუმენტების სპეციალური კომპლექტები, რომელთა საშუალებით შეეძლება მანქანების რთული რემონტის შესრულება მინდვრის პირობებში.

ათი თვის დავალების დამატებით მანქანათმშენებლებმა სარძეო-სასაქონლო და მეღორეობის ფერმებისთვის დაამზადეს 75 კომპლექტი კიდული გზები.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

საბჭოთა უკრაინის მწერლების მესამე ყრილობა

კიევი, 2 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა საბჭოთა უკრაინის მწერლების მესამე ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის ფედერაციისა და ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის მწერალთა დელეგაციები, სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობათა წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მ. ბაჟანის მოხსენება უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ, მწერალ ლ. დმიტერკოს თანამოხსენება უკრაინის საბჭოთა დრამატურგიის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ და მწერალ ნ. ზაბილას თანამოხსენება უკრაინული სალიტერატურო ლიტერატურის შესახებ, აგრეთვე მწერალ პეტრე პანჩის მოხსენება უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

მომხსენებლები და კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ მეორე ყრილობის შემდეგ უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში უკრაინელმა მწერლებმა შექმნეს 150-ზე მეტი რომანი და მოთხრობა, გამოუშვეს მოთხრობებისა და ნარკვევების 200-მდე კრებული, 350 ლექსთა წიგნი, 60-მდე დრამატურგიული ნაწარმოები, მრავალი წიგნი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის.

მწერლები ბ. გონჩარი, ვ. სობკო და სხვები, ლაპარაკობდნენ რა უკრაინული პროზის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებზე, ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ უკრაინელმა მწერლებმა ჯერ კიდევ ცოტა შექმნეს ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც მთელი ძალით ასახავდნენ ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ გრანდიოზულ გარდაქმნებს, ნაწარმოებნი, რომლებშიც მთელი სოლამაზით და სიდიადით იყოს წარმოდგენილი მოწინავე საბჭოთა ადამიანების სახეები. უკრაინელი საბჭოთა მწერლები ჯერ კიდევ ვალში არიან გმირი მუშათა კლასის წინაშე, მათ არ შეუქმნიათ ახალი მკაფიო ამაღელვებელი ნაწარმოებნი სოციალისტური მრეწველობის მშრომელთა ცხოვრებისა და თავდადებული შრომის შესახებ. ჯერ კიდევ ცოტა რამ გაკეთდა აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მშრომელთა შრომითი გმირობის მხატვრულად ასახვის საქმეში.

ისტორიული რომანის ეანრის განვითარებას მიუძღვნა თავისი სიტყვა ნ. რიბაკმა.

უკრაინული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების საკითხებმა გამოხატულება ჰპოვა ბ. რომაშოვის (მოსკოვი), ა. ილჩენკოსა და სხვების გამოსვლებში. მარტო მიმდინარე წელს უკრაინის თეატრებმა დადგეს უკრაინელ დრამატურგთა 20-ზე მეტი პიესა. უკრაინული საბჭოთა დრამატურგიის ნაწარმოებნი შორს გასცილდა რესპუბლიკის ფარგლებს. ა. კორნეიჩუკის, ო. გალანის, ვ. სობკოსა და სხვების პიესები იდგმება საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრში, ისინი კარგად მიიღეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მაყურებლებმა.

პოეზიის განვითარებაზე ილაპარაკეს კ. სიმონოვმა (მოსკოვი), ა. მალიშკომ, პ. ვორონკომ, ბ. პალიჩუკმა, ა. პიდსუხამ, ლ. ვიშესლავსკიმ და სხვებმა. კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა განვითარდეს პოეზიის ყველა ჟანრი, შეიქმნას ფართო ეპიკური ტილოები და ლირიკული ლექსები, რომელთა გმირი უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე ადამიანი.

უკრაინაში საბავშვო ლიტერატურის განვითარებას მიუძღვნეს თავიანთი სიტყვები ს. მიხალკოვმა (მოსკოვი), უკრაინის სსრ განათლების მინისტრმა გ. პ. პინჩუკმა, დ. ტკაჩმა და სხვებმა.

ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო უკრაინული ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას.

ყრილობაზე უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელობა გააკრიტიკეს იმისათვის, რომ იგი საკმაო ყურადღებას არ აქცევს შემოქმედებითს საკითხებს, მწერლთა საოლქო ორგანიზაციების საქმიანობას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა მ. შოლოხოვმა, ა. პროკოფიევმა, ს. ვასილიევმა (მოსკოვი), პ. ტიჩინამ, ე. პოპოვკინმა, მ. რილსკიმ, პ. კოზლანიუკმა და სხვებმა.

ყრილობას მიესალმნენ მოძმე ლიტერატურათა წარმომადგენლები.

ყრილობაზე გამოვიდნენ მუშების, კოლმეურნეების, ზავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები, რომლებმაც მოუწოდეს უკრაინელ მწერლებს უფრო სრულად და მკაფიოდ ასახონ თავიანთ ნაწარმოებებში ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრება, კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოველდღიური ცხოვრება.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ.

ყრილობამ აირჩია უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის ახალი გამგეობა, სარევიზიო კომისია და საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.

მოსკოვი. კრემლისა და კრემლის სანაპიროს ხედი ქვის ხიდიდან. ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 31 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 2.200 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად გალდებულებით გათვალისწინებული 1 500 ტონისა.

ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

ლენინის ქალაქი დღეს

ყოველ საბჭოთა ადამიანს, იმასაც კი, ვინც ლენინგრადში არასოდეს არ ყოფილა, ეიაჩნია, რომ ეს ქალაქი განსაკუთრებით მახლობელია მისთვის. ეს ტუნებრივიც არის. სწორედ ლენინგრადთან დაკავშირებულია ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ახალი ბედნიერი ეპოქის დასაწყისი. ლენინის ქალაქს ჩვენი ხალხი ოქტომბრის აკვანს, რუსული რევოლუციური აზროვნების აკვანს უწოდებს. ლენინგრადი განუყოფლად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის ისტორიასთან, თვითმპყრობელური ჩაგვრის წინააღმდეგ პიტერის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლასთან, ვ. ი. ლენინისა და ი. ვ. სტალინის მჩქეფარე რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

ამ დღეებში, როცა მთელი ჩვენი საბჭოთა ერი ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, ლენინგრადში ათობით ექსკურსია ნახულობს ისტორიულ ადგილებს, რომლებიც მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენის მოწმენი არიან.

აი, ადამიანთა ჯგუფი გაცდა სასახლის ბოედანს, შეჩერდა ზამთრის სასახლესთან და შენობის კედელზე მიმაგრებულ ბრინჯაოს მემორიალურ დაფაზე კითხულობს წარწერას: „1917 წლის 25-26 ოქტომბრის (7-8 ნოემბრის) ღამეს ზამთრის სასახლე — მეფეების რეზიდენცია, უკანასკნელი ბურჟუაზიული მთავრობის ადგილსამყოფელი იერიშით იქნა აღებული წითელგვარდიელებისა და არმიისა და ფლოტის რევოლუციური ნაწილების მიერ“.

რამდენ ამაღელვებელ აზრს აღვიძებს ეს სიტყვები! ადამიანები თვალს ავლებენ მოედანს, წყალუხვ ნევას და ცდილობენ წარმოიდგინონ — 37 წლის წინათ, ავდრიანი ღამის წყვდიადში ლეიტენანტ შმიდტის ხიდს იქიდან როგორ იგრიალა „ავრორას“ ზალპებმა და ქვეყანას ამცნო, რომ დედაქალაქზე ახალი ერა დაიწყო. ისტორიული კრეისერი დღესაც აქვე ახლოს დგას. რევოლუციის პირველი ხომალდი ნახიმოველთა სასწავლო ბაზად გადაიქცა.

იმ სამახსოვრო ღამეს აქეთ, სასახლის მოედანზე მოედინებოდნენ შეიარაღებული რაზმები, გამოგზავნილნი სმოლნში მყოფი რევოლუციის საბრძოლო შტაბის მიერ. სმოლნიდან ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ვ. სტალინი ძლევამოსილ აჯანყებას. სმოლნის თეთრ დარბაზში შეიკრიბა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა მუშებისა და გლეხების ხელისუფლება და მიიღო მისი პირველი საკანონმდებლო აქტები — დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ.

ათასობით ადამიანი ნახულობს ვ. ი. ლენინის ბინა-მუზეუმებს, განლაგებულს ლენინგრადის რამდენიმე რაიონში. ამ სახლებში თავისი რევოლუციური მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში ცხოვრობდა და შრომობდა ვლადიმერ ილიას-ძე. აქ დღევანდლამდე სათუთად ინახება ნივთები, რომლებითაც სარგებლობდა დიდი ბელადი. მუზეუმთა ექსპოზიციები მოგვითხრობენ იმ დაძაბულ ვითარებაზე, რომელიც წინ უძღოდა დიდ ოქტომბერს, მოგვითხრობენ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ.

ლენინგრადში ყველაფერი ისტორიით სუნთქავს. ამავე დროს ქალაქში გარკვეულად იგრძნობა ახლის შემოქმედების მძლავრი მაჯისცემა, მთელ ქვეყანასთან განუყოფლად დაკავშირებული უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის ცხოვრების თანაბარი და ნაკაფიო რიტმი.

ლენინგრადელები წმიდად ინახავენ და ამრავლებენ მშობლიური ქალაქის შესანიშნავ რევოლუციურ ტრადიციებს. ამავე დროს ისინი ამაყობენ კომუნისტურ მშენებლობაში თავიანთი აქტიური მონაწილეობით. დღესასწაულის წინადღეებში ისინი სამშობლოს უპატაკებენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ ახალ წარმატებებზე.

ლენინგრადის მრეწველობის მუშაკები იბრძვიან შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობისათვის. კიროვის სახელობის საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობის ქარხანაში ხარატმეკარუსელე ნიკოლოზ ლებედევის ინიციატივით იშვა ახალი წამოწყება — შეჯიბრება თვითეული მუშის მიერ ნორმის ნზარდი გადაჭარბებით შესრულებისათვის. თვით ლებედევი ახლა დავალებას ერთიორად ასრულებს. ქარხნის კოლექტივის 90 პროცენტზე მეტი უკვე ახლებურად მუშაობს.

კიროვის სახელობის ქარხნის მშრომელთა წამოწყებას ბევრი მიმდევარი და მიბაძველი გამოუჩნდა ლენინგრადის საწარმოებში, ჩვენი ქვეყნის ქარხნებსა და ფაბრიკებში.

კრეისერი „ავრორა“, რომელმაც ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ თავისი ქვემეხების ზალპით მსოფლიოს აუწყა, რომ დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა.

◁ ★ ▷

წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი შეაქვთ ლენინგრადელ რაციონალიზატორებს. ისინი ძვირფასი წინადადებებით აუმჯობესებენ ტექნიკასა და ტექნოლოგიას. ლენინგრადში იზრდებიან წარმოების ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორიც არის, მაგალითად, ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის“ მჩხეველი გრიგოლ დუბინინი, რომელიც ახლა უკვე 1965 წლის ანგარიშში შრომობს.

ნოვატორები ცდილობენ გამოავლინონ და გამოიყენონ წარმოების რეზერვები. ერთ-ერთი ასეთი რეზერვია დამხმარე დროის შემცირება ყველა ოპერაციაზე. ამ ამოცანის გადაწყვეტაში ჩაებნენ მეცნიერები. ლენინგრადში 100-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებელია. იქ ბევრი აკადემიკოსი, ნეცნიერების დოქტორი და კანდიდატი შრომობს. მუშებთან და ინჟინრებთან მათი მეგობრობა შესანიშნავ შედეგებს იძლევა. ძნელია ნახოთ ისეთი ინსტიტუტი, კათედრა თუ ლაბორატორია, რომლის მუშაკები მჭიდროდ არ იყვნენ დაკავშირებულნი წარმოებასთან.

პროგრესული ტექნიკისა და შრომის მოწინავე ორგანიზაციის დანერგვით ლენინგრადის ბეგრნა ქარხანამ და ფაბრიკამ ვადამდე შეასრულა 10 თვის პროგრამა. ხოლო ზოგი, როგორიც არის, მაგალითად, რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხანა, წლიურ გეგმას 7 ნოემბრისათვის შეასრულებს. ლენინგრადის მთელმა მრეწველობამ და ყოველმა ცალკეულმა საწარმომ გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქციის გამოშვება ერთსა და იმავე საწარმოო ფართობზე.

აწ ცოტა ხნის წინათ კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას“ საამქროებიდან გამოვიდა წელს აგებული მეხუთე გენერატორი კუიბიშევჰესისათვის. ეს მსოფლიოში უდიდესი მანქანაა, რომლის გადასატანად საჭირო გახდა ასი სარკინიგზო პლატფორმა. სტალინის სახელობის ქარხანამ ამ გენერატორისათვის გამოუშვა მეხუთე ტურბინი. ნეორე ხუთწლედის სახელობის ქარხანაში დაიწყეს გაზეთის ქაღალდის გამოსაშვები აგრეგატების დამზადება. თვითეული ამ აგრეგატის სიმძლავრე დღე-ღამეში 100 ტონა პროდუქციას შეადგენს. ამავე დროს ამ ქარხანაში აკეთებენ მანქანებს, რომლებიც დაამზადებენ მუყაოს ან ტექნიკური ქაღალდს, პაპიროსის ქაღალდზე რამდენიმეჯერ უფრო თხელს. ქარხანა „ბარიკადა“ შეუდგა საცხოვრებელ და საწარმოო შენობათა მშენებლობისათვის ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების მასობრივ გამოშვებას.

ასეთი მაგალითი ნრავალია. ლენინგრადი დღეს ჩვენს ქვეყანას აძლევს მძლავრ ჰაერსატერებს, საამწეო მოწყობილობას, მთლიანლითონის სარკინიგზო ვაგონებს, ჩარხებს, ელექტრომშემდუღებელ აპარატებს, საზომ ხელსაწყოებს, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონელს — მაღალხარისხოვან შალის ქსოვილებს, ფეხსაცმელს, საკონდიტრო ნაწარმს, პარფიუმერიას და ბევრ სხვას.

ლენინგრადი ამასთან საწარმოო გამოცდილების თავისებური საგანძურია. ამ გამოცდილების გასაცნობად აქ ხშირად ჩამოდიან მუშები საქართველოდან და მოლდავეთიდან, ურალიდან და უკრაინიდან, აგრეთვე სხვა რესპუბლიკებიდან და ოლქებიდან. სტუმრები ნახულობენ სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის სახლს მისი ფართო სამრეწველო გამოფენით, ქარხნებს, ფაბრიკებს, ინსტიტუტებს. ბევრი ლენინგრადელი ნოვატორი წერს ბროშურებსა და წიგნებს თავისი მუშაობის მეთოდებზე.

გმირი ქალაქის მშრომელებმა აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი. ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება. სადაც კი მიხვალ ამ დღეებში — საწარმო იქნება ეს, საამქრო, ახალმშენებლობა თუ ლენინგრადის მეტროს შახტი, სადაც უკვე დაიწყო სადგურის მოპირკეთება მარმარილოთი, ბრინჯაოთი და ბროლით, — ყველგან იგრძნობა საერთო შრომითი აღმავლობა, ყველგან დაგისახელებენ ციფრებსა და ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ გმირი ქალაქის მშრომელთა შესანიშნავ საქმეებს. დამახასიათებელი ფაქტია, რომ წელს ქალაქის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით უკვე დააბზადა ნახევარ მილიარდ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

* * *

ლენინგრადი მთელი ჩვენი ქვეყნისათვის კადრების სამზედლია. ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ქალიშვილები და ჭაბუკები. აქ ნახავთ მზიური საქართველოსა და შორეული იაკუტიის, დაღისტნისა და სომხეთის, უზბეკეთისა და უკრაინის წარჩომადგენლებს.

მარტო ლენინგრადის ედანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სწავლობს ქართველი ხალხის 30-ზე მეტი წარმომადგენელი. გლეხის შვილი სოფელ უდედან შოთა ტატოშვილი ფილოლოგი გახდება, სწავლაში შესანიშნავი წარმატებებით ეგებებიან დღესასწაულს უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტები ფ. დ. დანელია, ი. ა. ცხომელიძე და სხვები. ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების ასპირანტთა შორის ბევრი ქართველია.

* * *

ლენინგრადში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვა გმირი ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის. დღესასწაულის წინ ლენინგრადელები, აჯამებენ რა გაწეულ მუშაობას, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მათი დიადი ქალაქი ნევაზე წლითიწლობით სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება.

გასულ ზაფხულში დამთავრდა მთელი რიგი მაგისტრალების რეკონსტრუქცია, კერძოდ, ვასილის კუნძულის დიდი პროსპექტის რეკონსტრუქცია. კუნძულზე გაყვანილია ტროლეიბუსის ახალი ხაზი, რომელიც ცენტრს ნავსადგურთან აერთებს. ქალაქში აშენდა და კიდევ შენდება 350 მრავალსართულიანი შენობა. მათ აშენებენ ყოფილი ნარვისა და ნევის კარებს იქით, ოხტაზე, ვიბორგის მხარეს, იქ, სადაც ყოფილი მიყრუებული განაპირა უბნების ადგილზე გაჩნდნენ ლამაზი არქიტექტურული ანსამბლები, მაღაზიები, კინოთეატრები, კლუბები, ბაღები და სკვერები.

განსაკუთრებით დიდია ცვლილებანი მოსკოვის კარს იქით. აქ 1950 წლიდან აშენდა 150-მდე საცხოვრებელი სახლი 250 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. მშენებლები მოგვითხრობენ, რომ როცა მათთან მივიდა საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ინგლისის დელეგაცია, ერთ-ერთმა სტუმარმა შენიშნა, რომ მთელ ინგლისში არ შენდება იმდენი საცხოვრებელი სახლი, რამდენიც აქ, მარტო სტალინის სახელობის პროსპექტზე. ახლა ამ პროსპექტის სიგრძე 9 კილომეტრია. ლენინგრადელებმა მიზნად დაისახეს სტალინის სახელობის პროსპექტი გადააქციონ ქალაქის ულამაზეს მაგისტრალად. უახლოეს მომავალში პროსპექტი, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს, დამშვენდება ახალი ლამაზი შენობებით, ძეგლებით, სკვერებით, ბულვარებით.

მიმდინარე წელს ლენინგრადში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენილი პულკოვოს მთავარი ასტრონომიული ობსერვატორია. გაჩნდნენ ახალი მაღაზიები, მათ შორის უზარმაზარი საბავშვო უნივერმაღი, აგებულია რამდენიმე ახალი ხიდი. მალე ქალაქი მიიღებს სტერეოკინოთეატრს.

უკანასკნელ ხანებში ლენინგრადში გაჩნდა დეკორაციულ მცენარეთა მრავალი ნარგავი. პეტროდვორეცში, გატჩინოსა და ლომონოსოვოში რესტავრატორებმა აღადგინეს რუსი ხუროთმოძღვრების რამდენიმე შესანიშნავი ქმნილება.

ლენინგრადში წარმატებით ეწყობა გაზიფიკაცია, უკვე ახლა იაფი გაზის სათბობს იღებს 225 ათასი ბინა.

წელს გაიხსნა მოძრაობა ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის რამდენიმე ახალ ხაზზე. ახლა ლენინგრადში ტრამვაის 37 და ტროლეიბუსის 10 ნარშრუტია. ამ მარშრუტებზე ყოველდღე მოძრაობს 1.445 ტრამვაის ვაგონი და 185 ტროლეიბუსი. ავტობუსები დადიან 53 მიმართულებით. წელს ლენინგრადელებმა პირადი სარგებლობისათვის შეიძინეს „პობედისა“ და „მოსკვიჩის“ მარკის 1.500 მანქანა.

* * *

ლენინის ქალაქის მშრომელები ფართოდ და ზეიმით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის წლისთავს. ბევრი თეატრი ამ დღეებში მაყურებელს ახალ დადგმებს უჩვენებს. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები გამოვლენ თავიანთი ახალი დადგმებითა და საკონცერტო პროგრამებით. ყველა 78 კულტურის სახლსა და მუშათა კლუბში მოეწყობა სადღესასწაულო საღამოები.

სადღესასწაულოდ ახალი ექსპოზიციები მომზადდა სახელმწიფო ერმიტაჟში, მუზეუმებში. პროდუქციის სადღესასწაულო ასორტიმენტს უშვებენ ბიქმიანისა და სამოილოვას სახელობის საკონდიტრო ფაბრიკები. ლომონოსოვის სახელობის ფაიფურის ქარხანა ამზადებს მხატვრულ სუვენირებს.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს სიხარულით ეგებებიან გმირი ქალაქის მშრომელები. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ლენინგრადელები ღირსეულად ხვდებიან დიად დღესასწაულს.

ვ. იუნოშევა,
ო. კარიშევი.

„კომუნისტის“ კორესპონდენტები.

ქ. ლენინგრადი.







ლენინგრადი. 1. სმოლნი. 2. თაღი ზამთრის სასახლის ხედით. 3. მდინარე ნევის სანაპირო.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ავჭალის ელექტროგენერატორთა ქარხნის პარტიული კონფერენცია

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის მეექვსე პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 30-31 ოქტომბერს გაიმართა, განიხილა პარტკომის მდივნის ს. აბზიანიძის საანგარიშო მოხსენება. როგორც მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ ქარხანაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, უბნებისა და განყოფილებების მუშაკთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. იმის გამო, რომ ტექნოლოგიური, მთავარი მეტალურგისა და ტექნიკური სამსახურის განყოფილებების მუშაკებმა ვერ უზრუნველყვეს ავტომობილის წინა ღერძის დროული ათვისება, ჩაიშალა ავტომანქანების გამოშვების გეგმის შესრულება.

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ქარხანაში კი ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა. გამოყენებული არ არის შრომის ნაყოფიერების გადიდების ყველა საშუალება და რეზერვი. კონფერენციის დელეგატებმა ილაპარაკეს მრავალ სხვა ნაკლზეც, რომლებიც ხელს უშლის ქარხნის ნორმალურ მუშაობას. ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან მოსკოვის საწარმოებში ცვალიფიკაცია აიმაღლა 541 კაცმა. ამ საქმეზე მილიონობით მანეთი დაიხარჯა, მაგრამ მოსკოვში მომზადებულ სპეციალისტთაგან ქარხანაში მხოლოდ 93 კაცი მუშაობს.

დელეგატებმა გააკრიტიკეს ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. დავიდოვი, მთავარი ტექნოლოგი გ. ჩერნომორდიკი, ტექნიკური ნაწილის უფროსი ა. ბენკინი, მთავარი მექანიკოსი შ. ბობოხიძე და მთავარი ენერგეტიკოსი გ. ჩუბინიძე, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დავალების შესრულება ავტომობილის წინა ღერძის ათვისების საქმეში.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. ამჟამად საწარმოში 555 კომუნისტია. მაგრამ ეს დიდი ძალა ჭეიდროდ არ არის დარაზმული ქარხნის კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად. მთელ რიგ საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებში მივიწყებულია მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. ეს განსაკუთრებით ითქმის სარემონტო-სამსხმელო, სამჭედლო საამქროებისა და ტექნოლოგიური განყოფილების პარტიული ორგანიზაციების შესახებ.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია საagიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტების ერთი ნაწილი სრულებით არ ზრუნავს თავისი იდეურ-თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს პარტიის საქალაქო კომიტეტი, რომელიც ნაკლებად ეხმარება ქარხნის კომუნისტებს ყველა სამეურნეო წარმატების მტკიცე საფუძვლის — პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაში. საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. მონცელიძემ გაიზიარა კრიტიკული შენიშვნები და აღნიშნა, რომ მომავალში საავტომობილო ქარხნისადმი საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა და დახმარება უფრო კონკრეტული და საქმიანი გახდება.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი პარტიული და სამეურნეო მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ფარული (დახურული) კენჭისყრით აირჩია პარტკომის ახალი შემადგენლობა.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

ბათუმი. (საკ. კორ.). მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ე. სადრაძემ.

შარშან ქარხანა სახელმწიფო გეგმის შესრულებაში ჩამორჩებოდა, სახელმწიფოს ასეულ ათასობით მანეთის ჩაის, ღვინისა და საკონსერვო მრეწველობის მანქანა-მოწყობილობა დააკლო. წელს ბათუმელი მანქანათმშენებლები უფრო რიტმულად და ორგანიზებულად მუშაობენ. წარმატებითი შესრულდა მიმდინარე წლის 10 თვის დავალება, ამასთან გასულ წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 61,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი — 12,4-ით.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანია ქარხნის კომუნისტების წვლილი.

ილაპარაკეს რა ამ წარმატებათა შესახებ, კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს პარტბიუროს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. განსაკუთრებით სუსტად იყო დაყენებული შესრულების შემოწმება, რის გამო ბევრი კარგი დადგენილება განუხორციელებელი დარჩა.

პარტიული კრებებისა და პარტბიუროს სხდომების მომზადებასა და ჩატარებაში არსებითი ნაკლია ის, რომ კომუნისტების ერთი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საკითხების განხილვაში. პარტბიურო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა კომუნისტებზე პარტიულ დავალებათა სწორად განაწილებას. ბევრ კომუნისტს, მათ შორის ნ. ფილიპოვს, ნ. კუზნეცოვს, ა. ვართანიანს, ა. ხანდელიანს, ბ. ლომთაძეს და სხვებს არავითარი პარტიული დავალება არა აქვთ.

პარტბიურო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა პარტჯგუფების მუშაობას. ამის შესახებ კრებაზე ილაპარაკეს კომუნისტებმა — სამსხმელო საამქროს უფროსმა ა. ტუღუშმა, ელექტროშემდუღებელმა ა. სერგეევმა და სხვებმა. საანგარიშო პერიოდში პარტბიუროს არც ერთხელ არ მოუსმენია საკითხი პარტჯგუფების საქმიანობის შესახებ, არ მოუწვევია პარტჯგუფორგების თათბირი და სემინარი. სამჭედლო, სატრანსპორტო და სხვა საამქროებში, სადაც 4-5 და მეტი კომუნისტია, დღემდე არ არის შექმნილი პარტიული ჯგუფები.

საწარმოში სუსტად არის დაყენებული საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. შ. ვადაჭკორიამ და ვ. ტაბაღუამ აღნიშნეს, რომ აგიტატორები საამქროებსა და ბრიგადებში იშვიათად მართავენ საუბრებს.

უკანასკნელ ხანებში პარტბიურომ ლექციური პროპაგანდა გააძლიერა. მაგრამ ზოგიერთი ლექციისა და მოხსენების იდეურ-პოლიტიკური დონე ჯერ კიდევ დაბალია.

ქარხანაში 230-მდე ახალგაზრდა მუშაობს. მათგან 175 კომკავშირელია. კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით შექმნილია და წარმატებით მუშაობს ექვსი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. მაგრამ კომკავშირის მუშაობაში სერიოზული ნაკლიც არის. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში კომკავშირის კომიტეტს პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა.

საანგარიშო მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი მუშათა კადრების მომზადების შესახებ. ნაკლოვანებანი კი ამ საქმეში ბევრია. ახალგაზრდა მუშების ერთი ნაწილი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს, უშვებს წუნს. მომხსენებელმა გვერდი აუარა აგრეთვე ზამთრისათვის მზადების საკითხს. კრებაზე კი გამოირკვა, რომ როგორც საწარმო, ისე მუშათა საცხოვრებელი სახლები და ავტოტრანსპორტი მზად არ არის ზამთრისათვის. ეს ცხადი გახდა გ. პეტრენკოს და დ. მოქიას სიტყვებიდან.

კომუნისტებმა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს პარტბიუროს მიერ გაწეული საქმიანობა და მიიღეს დადგენილება მომავალი მუშაობისათვის.

კრებამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და ბათუმის მე-13 საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

პარტიული ქრონიკა

ფოთი. („კომუნისტის“ კორ.). საქალაქო პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საკითხი იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. შენგელიამ და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა პარტიული ორგანიზაციების საagიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა.

ამასთან ერთად აქტივის კრებაზე გამოჩენილ ნებულ იქნა იდეოლოგიური მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა ნავსადგურის პარტორგანიზაციაში. ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მშრომელთა შორის სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო პროპაგანდას ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება და მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილება. დაბალ დონეზე დგას მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად აქტივის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). გელათის შახტის პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო ზრუნავს ახალგაზრდა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდისა და ორგანიზაციული გამოწრთობისათვის, აძლევს მათ მუდმივ და ერთდროულ დავალებებს. საქმის ცოდნითა და სიყვარულით ასრულებს აგიტატორის საპატიო მოვალეობას ახალგაზრდა კომუნისტი გ. ბასილაძე. პირადი შრომითი მაგალითითა და ცოცხალი, საინტერესო საუბრებით იგი მეშახტეებს აღაფრთოვანებს მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის. კარგად მუშაობს საშახტო კედლის გაზეთი, რომლის რედაქტორია ახალგაზრდა კომუნისტი გ. სულმანიძე.

პარტბიურო ახალგაზრდა კომუნისტებს ფართოდ იზიდავს პარტიულ კრებაზე განსახილველი საკითხების მომზადებაში. მაგალითად, ბ. ბაკურაძემ მოამზადა საკითხი მუშათა საერთო საცხოვრებლებში საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობის შესახებ. ხოლო გ. ქირათელიძემ შეისწავლა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

ორი სოფელი საზღვარზე

ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელ მესაზღვრეს“ 180 ჰექტარი კარტოფილის სათესი აქვს. აქ ყოველწლიურად მოჰყავთ ამ ძვირფასი სასურსათო კულტურის უხვი მოსავალი. წელს საშუალოდ ჰექტარზე 150 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანეს, გეგმა კი 140 ცენტნერს ითვალისწინებდა. ცალკეულ ბრიგადებში 200 ცენტნერი კარტოფილია მიღებული. ასევე ხორბლის, ხოსტნეულის, ხილის მაღალი მოსავალი მიიღეს.

მთა მჭარალში იალაღებზე კოლმეურნეობამ ააგო ორსართულიანი კაპიტალური შენობა. ამ ბინაში 25 მწყურვლის ოჯახი კულტურულად ცხოვრობს. 250 კოლმეურნემ აიშენა საუკეთესო საცხოვრებელი ბინები. 200 კოლმეურნის ოჯახი გაჩირაღდნებულია ელჩის ნათურებით. ელექტრომუქით განათებულია კოლმეურნეობის კანტორა, საწყობები, ფერმები და სოფლის საავადმყოფო.

ელექტროენერგიით მუშაობს სოფელში ახლადაგებული ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

საკოლმეურნეო ბინდვრებზე გუგუნებენ ტრაქტორები, კომბაინები, მარაგზებზე დაჭრიან მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები. კოლმეურნეები მანქანებით ეზიდებიან უხვ ჭირნახულს. წყალთბილაში ხალისიანი, მდიდარი შემოდგომაა.

ამ სურათს ხედავენ საბჭოთა სოფლის მობინჯნავე ბნელი თურქული სოფლის — ბადელას მცხოვრებლები. ნაღვლიანი შემოდგომაა ბადელაში. დაქუცმაცებულ ხრიოკ მიწაზე თურქი გლეხი მიერეკება ხის კავზე გაბმულ გაძვალტყავებულ ხარებს. იქ არ ჩანს ანქანის მოძრაობა, ელექტროსინათლე და ყოველი ის სიკეთე, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დამკვიდრდა საბჭოთა მიწაზე. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ბადელაში მცხოვრები თურქი გლეხი წყევლიდეს თავის აწმყოს და შენატროდეს საბჭოთა სოფლის სიმდიდრეს.

ე. ხარებავა,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

4 კილოგრამი ყურძენი შრომადღეზე

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო. სახელმწიფოსათვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩაბარებისა და კოლეურნეობის მარნების ავსების შემდეგ შრომადღეზე ავანსად 4 კილოგრამი ყურძენი გასცეს.

კოლმეურნე მიხეილ ცანკაშვილმა, რომელმაც მიმდინარე წლის 9 თვეში 654 შრომადღე გამოიმუშავა, ავანსად 2.616 კილოგრამი ყურძენი მიიღო, ოლია პაპოშვილმა — 1.220 კილოგრამი და ა. შ.

ყურძნის ავანსად გაცემა დაიწყო ველისციხის, ვაზ ხუბნის, კარდანახის და სხვა კოლმეურნეობებში.

უშრეტია ხალხური შემოქმედების საუნჯე



რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ხუთ დღეს გრძელდებოდა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების საქალაქო დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 71 მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივმა და 61 ინდივიდუალურმა შემსრულებელმა. სულ დათვალიერებაში მონაწილეობდა 3.380 კაცი.

მრავალფეროვანი იყო ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის პროგრამა. ანსამბლმა ოსტატურად შეასრულა სიმღერა დიდ ლენინზე (მუსიკა შ. მილორავასი), „ჩინელი ახალგაზრდობის სიმღერა“, „მშვიდობის ჰიმნი“.

ქალაქის რაიონების თვითმოქმედ კოლექტივებს შორის საკმაო პოპულარობით სარგებლობს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი. მაყურებელმა გულთბილად მიიღო მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებული სიმღერა სტალინზე (სიტყვები ა. მირცხულავასი, მუსიკა შ. მშველიძისა). წარმატებით გამოვიდა ვოკალური ჯგუფი კომპოზიტორ ს. მირიანაშვილის ხელმძღვანელობით. დღმა ჩაფიჩაძეებმა მოხდენილად შეასრულეს ლირიკული სიმღერები. მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა.

ფართოდ არის ცნობილი სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი. წარმატებით გამოდის სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ნასიძის ხელმძღვანელობით. დარბაზში დიდებულად ეჟღერს მელოდიები ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ და ე. ბიზეს ოპერიდან „კარმენი“. მაღალი ოსტატობით და ჰარმონიულობით გამოირჩევა ქორეოგრაფიული კოლექტივის მიერ შესრულებული ცეკვები „მთიულური“, „დავლური“, „აზერბაიჯანული ცეკვა“.

მაყურებლის წინაშე საინტერესო რეპერტუარით წარსდგნენ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული, ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების თვითმოქმედი კოლექტივები.

სცენაზეა მაუდ-კამეოლის კომბინატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც წარმატებით ასრულებს „გამარჯვების სიმღერას“ (მუსიკა შ. მშველიძისა), „მგზავრულს“ და ცეკვა „დავლურს“.

საინტერესო რეპერტუარი ჰქონდა ნავთლუღის ფეხსაცმლის ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „სიმღერა მოსკოვზე“, „ჩონგურო“ და ცეკვა „მწყემსები წყაროსთან“.

ასევე შეიძლება ითქვას ნავთლუღის რკინიგზის კვაძის კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლზე, რომელიც დათვალიერებაზე ორგანიზებულად გამოვიდა. მოწონება დაიმსახურა „რკინიგზელების სიმღერამ“, „რკინიგზის მეავგონეთა ცეკვამ“, ოსურმა მასობრივმა ცეკვამ „სიმდი“.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს კარგად უმუშავნია იმისათვის, რომ დათვალიერებაზე წარმატებით გამოსულიყო. მაყურებელს ხიბლავს ანსამბლის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები „სუფრული“, „ჩელა“, აგრეთვე „მთიელ ქალ-ვაჟთა ცეკვა“.

...დარბაზში ისმის ტაბილი ჰანგები და გულში ჩამწვდომი სიტყვები. ეს სიტყვები ადიდებენ სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ჩვენი ხალხი მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. სიმღერის ტექსტი ეკუთვნის პოეტ ს. მიხალკოვს, ხოლო მუსიკა დაწერილია კომპოზიტორ ვ. მურადელის მიერ. ასრულებს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მომღერალთა გუნდი დ. კვაჭანტირაძის ხელმძღვანელობით.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების განათლების სახლის, 26 კომისრის რაიონის დასუფთავების კანტორის, საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის, ფარმაკოქიმიური ქარხნის, 1-ლი სამედიცინო სკოლის, სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივები, რომლებიც მრავალფეროვანი პროგრამით გამოდიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეზიდთა ქორეოგრაფიული კოლექტივი ვ. სისიანის ხელმძღვანელობით.

დამაკმაყოფილებელი იყო 1-ლი სამკურნალო ფაბრიკის, ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს, პროფტექნიკური სკოლის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, ძაფსართავი ფაბრიკის, საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლის, ამერიკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს, ვოროშილოვის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლის, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კლუბის თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლა.

თბილისის გარეუბნის რაიონიდან გამოვიდა მარტყოფისა და ნორიოს სასოფლო კლუბებთან არსებული მომღერალთა გაერთიანებული გუნდი. მას კარგად დაუმუშავებია ხალხური სიმღერები — „გარეკახური მგზავრული“, „ჩაკრული“, „საქართველოს“, „ზამთარი“, „სიჯადო“. გუნდის ხელმძღვანელმა ნ. სამკუაშვილმა საუცხოოდ შეასრულა სიმღერა „ოროველა“.

ქორეოგრაფიულ ანსამბლებს შორის მაღალი ორგანიზებულება და ოსტატობა გამოამჟღავნა გორკის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა რ. ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით.

მაყურებლის წინაშე თავიანთი მაღალი მომზადება ცხადყვეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სამმართველოს ცენტრალური კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა და საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალური კლუბის ქორეოგრაფიულმა წრემ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კულტურის ცენტრალური სახლის მეფანდურეთა ანსამბლისა და ხალხური საკრავთა ჯგუფის გამოსვლა.

საქალაქო დათვალიერებამ მრავალი ნიჭიერი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი გამოავლინა. მან ცხადყო, თუ რაოდენ უზრეტია ხალხური შემოქმედების საუნჯე. აქვე უნდა ითქვას, რომ თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარში იგრძნობოდა ერთფეროვნება. საჭირო იყო სარეპერტუარო ნორმების უფრო გულდასმით და ყურადღებით შერჩევა.

სურათებზე: ზემოთ — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი გუნდთან და სოლისტებთან ერთად ასრულებს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მესამე აქტს. ქვემოთ — საქართველოს კიროვის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული ცეკვის ანსამბლი ასრულებს ნაწყვეტს მონტაჟიდან „დღეს ზეიმია საქართველოში“.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

წიგნი სოფელს

სოფლად დიდი მოთხოვნილებაა პოლიტიკურ, მხატვრულ, სპეციალურ და სხვა ლიტერატურაზე. მარტო მიმდინარე წლის სექტემბერსა და ოქტომბრის პირველ დეკადაში „საქწიგნის“ წიგნების ბაზამ საქართველოს რაიონებში გაგზავნა 106 სახელწოდების 385.495 ცალი წიგნი.

დიდი მოთხოვნილება პოლიტიკურ და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაზე. ამ დარგების წიგნები გაგზავნილია 79.068 ცალის რაოდენობით. მხატვრული ლიტერატურიდან, რაზეც აგრეთვე დიდი მოთხოვნილებაა, ამ თვეში ბეთლეის განმავლობაში სოფლად გაიგზავნა 180.288 ცალი წიგნი.

ნ. ციცხვაია.

გერმანიის ერთიანობის აქტუალური საკითხები

გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ სტატიის მიმოხილვა

ბერლინი, 3 ნოემბერი. (საკკორ.). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დაბეჭდა არტურ შტაიგერის სტატია, რომლის სათაურია „გერმანიის ერთიანობის აქტუალური საკითხები“.

ბონის ფედერალური სახელმწიფოს გაბატონებული წრეები, ნათქვამია სტატიაში, ადგენენ გეგმებს, რომელთა მიზანია გერმანიის არა მშვიდობიანი გაერთიანება, არამედ ბონის რეჟიმის ძალდატანებით გავრცელება მთელ გერმანიაზე. მაგრამ ეს იგივეა, რაც ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. ამ მიზნებს ემსახურება აგრეთვე ცხრა სახელმწიფოს შეთანხმებები, რომლებსაც ხელი მოაწერეს პარიზში და რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და მის შეყვანას აგრესიულ სამხედრო ჯგუფებებში.

პარიზის შეთანხმებებში ერთი სიტყვითაც არ ყოფილა ნახსენები, რომ საჭიროა შეთანხმება დასავლეთისა და აღმოსავლეთის გერმანელებს შორის. ამის ნაცვლად პარიზის მოლაპარაკების მონაწილეებმა ადენაუერის მოთხოვნით განაცხადეს, რომ მათ ბონის მთავრობა მიაჩნიათ „გერმანიის ერთადერთ მთავრობად“ „მთელი გერმანიისათვის“. უფრო მეტიც, პარიზის შეთანხმებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებებს, შეეცდებიან, „გაერთიანებულ გერმანიას“ თავს მოანგიონ „ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციის მსგავსი კონსტიტუცია“, და რომ გაერთიანებული გერმანია შეიყვანონ „ევროპის გაერთიანებაში“.

განა გასაგები არ არის ასეთ პირობებში, რომ ბონის მთავრობის ეს მოთხოვნები გამორიცხავენ მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობას, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან გერმანელი ხალხის ნების თავისუფალი გამოვლინების პრინციპს.

ცნობილია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საიმედო დასაყრდენია ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში. მისი ავტორიტეტი და მიმზიდველი ძალა, როგორც მშვიდობისა და ერთიანობისადმი გერმანიის ხალხის მისწრაფების წარმომადგენლისა, დღითიდღე იზრდება. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია სახელმწიფო მშენებლობის ყველა დარგში, მშვიდობიანი ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში.

სახალხო პალატისა და სახალხო წარმომადგენლობათა არჩევნების შედეგები ოლქებში ამტკიცებს, რომ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა დარაზმულად უჭერს მხარს ეროვნული ფრონტის პროგრამას.

აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელ ხანს დასავლეთ გერმანიაში ძლიერდება პროტესტანტი ადენაუერის პოლიტიკის წინააღმდეგ, ავტორი წერს:

გერმანიის ორივე ნაწილის პატრიოტული ძალები მოითხოვენ, რომ გერმანელ ხალხს მიენიჭოს უფლება თვითონ გამოიტანოს გადაწყვეტილებანი ერთიანი გერმანიის მომავალი სახელმწიფო წყობილების საკითხებზე თავისუფალი ნების გამოცხადებით, უცხო სახელმწიფოთა ჩაურევლად. ვინც გერმანელ ხალხს ნდობას არ უცხადებს ამ საქმეში, ის შეურაცხყოფს მის ეროვნულ ღირსებას.

შემდეგ სტატიაში ნათქვამია:

— ახლანდელ ვითარებაში, როცა დასავლეთის სახელმწიფოების კარჩაკეტილ აგრესიულ დაჯგუფებაში დასავლეთ გერმანიის შეყვანის პოლიტიკა გერმანიის გათიშვის საფრთხეს ქმნის და ამით ძირს უთხრის გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესაძლებლობას, განსაკუთრებით ღიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანიის დაახლოება. აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანიის დაახლოების უახლოესი ღონისძიებანი, რომლებსაც უეჭველია, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ, ის არის, რომ მოეწყოს სრულიად გერმანიის მოლაპარაკება, შეიქმნას სრულიად გერმანიის გაერთიანებული ორგანოები, მოეწყოს დელეგაციების გაცვლა, აგრეთვე შემდგომ განმტკიცდეს და გაფართოვდეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა გერმანიის ორივე ნაწილს შორის.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. გერმანიის საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის

ბერლინი, 1 ნოემბერი. (საკკორ.). როგორც ადენაუერის საგენტო იუწყება, დიუსელდორფში გაიმართა ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა პოლიტიკური მდგომარეობა პარიზის შეთანხმებებთან დაკავშირებით. სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კავშირის თავმჯდომარეებმა ი. ვირტმა და ვ. ელფესმა.

კომუნიკეში, რომელიც სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა, კავშირი მოითხოვს საგარეო პოლიტიკის დარგში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. შეწყდეს ყოველგვარი ცდა, რომლის მიზანია ფედერალური რესპუბლიკის შეყვანა ცალმხრივ სამხედრო პაქტში რაიმე ფორმით, და ამიტომ უარყოფილ იქნას ლონდონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.

2. დაუყოვნებლივ მოეწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება გერმანიის საკითხზე და ევროპის უშიშროების შესახებ, წინასწარი მზრობების წამოუყენებლად.

3. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის თანასწორუფლებიანმა წარმომადგენლებმა.

4. მოეწყოს მოლაპარაკება გერმანელებს შორის ოთხი სახელმწიფოს თანმხრისათვის გერმანელთა საერთო თვალსაზრისის რაც შეიძლება მალე შემუშავების მიზნით და მიღწეულ იქნას შეთანხმება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ყველა სახელობის პოლიციის რაოდენობის, განლაგებისა და შეიარაღების შესახებ.

მთელი გერმანიის სუვერენიტეტისა და უშიშროების ინტერესებისათვის მოეთხოვოს ოთხივე მოკუპირებელ სახელმწიფოს გაიყვანონ თავიანთი ჯარები.

რა მისცა ოქტომბერმა მშრომელ გლეხობას

ბარაქიანი და ლაღად გადამლილა ზნისსხივებდაფრქვეული ქართლის სოფლები. მიმზიდველი სანახავია საკოლმეურნეო ბალები და ვენახები, შაქრის ჭარხლით და კომბოსტოთი გადამწვანებული უნაპირო მინდვრები და შემოდგომის ვრცელი ხნულები. აუარებელი ხილითა და ბოსტნეულით, აკიდებით. ჩურჩხელებით, კომშით დამშვენებულა კარ-მიდამო. სოფლელები მოსავალს აბინავებენ. ყველგან იგრძნობა ბარაქიანი შემოდგომის სურნელება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეჩვიდმეტე წლისთავის წინადღეებში შინ და გარეთ დაძაბული შრომაა გაჩაღებული. ადამიანები დასტრიალებენ საკოლმეურნეო ეზოებსა და ჩალის ზვინებს, მოსდგიან ბინდვრებს. გაცხოველებულ შრომაში იქმნება საკოლმეურნეო დოვლათი, ჩვენი გლეხობის საამური ცხოვრების მატერიალური საფუძველი. შემოქმედებითს შრომაში უმჯობესდება არა მარტო თვითეული მშრომელის საარსებო საშუალება, არამედ იქედება ადამიანთა საერთო, ბედნიერი მომავალიც.

კოლმეურნეებმა კარგად იციან, რომ მოსავალს დაცდა არ უყვარს. წლევანდელი შემოდგომის წყნარი, მზიანი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. გამოგვალულ მიწებს წელს გმირულად ებრძოდნენ ჩვენი სახელოვანი ტრაქტორისტები. თესვას თავისი დრო და აგროწესები აქვს. მოსავალი კალენდარულ ვადებში უნდა დაბინაონ. და საქმეს ეშურებიან სოფლის მშრომელები. ყოველი საეშაო დღის ავ-კარგს თეული არსებით განიცდიან საკოლმეურნეო შრომის მოწინავე ადამიანები.

***

სოფელი ლეთეთი ერთი იმათგანია, სადაც ბტკიცედ დამკვიდრდა საკოლმეურნეო ცხოვრების წესები. აქ შემოქმედებითად შრომობენ ხალხის მატერიალური ცხოვრებისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის. ლეთეთელ კოლმეურნეებს ბეჯითი ბრძოლით შეუქმნიათ თავიანთი საერთო სიმდიდრე, განუცითარებიათ მეცხოველეობა და მეძინდვრეობა, აუგიათ საზოგადოებრივ ნაგებობანი, მოუპოვებიათ დიდი შემოსავალი და ახლა ერთ-ერთი ბოწინავენი არიან ქარელის რაიონში.

კოლმეურნეობას 580 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, 480 ჰექტარი — საძოვრები და სათიბი აქვს. მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მანქანები აადვილებენ შრომას, კოლმეურნეები იყენებენ მინერალურ და ორგანულ სასუქებს და ახორციელებენ აგროწესებს. შედეგად წლითიწლობით მეტ მოსავალს იღებენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ან კოლმეურნეობას გეგმით უნდა ჰყავდეს 550 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 1.400 სული ცხვარი, 80 ღორი და ათასი ფრთა ფრინველი. მოუშენებია 576 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 1.500 სული ცხვარი, 120 ღორი და 1.200 ფრთა ფრინველი. მოჰყავთ თავთავიანი კულტურები, სიმინდი და შაქრის ჭარხალი. მეჭარხლეობა აქ მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. 50 ჰექტარი ჭარხლის ნათესიდან ლეთეთელი კოლმეურნეები წელს უხვ მოსავალს იღებენ. დაგეგმილია ჰექტარზე 310 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი. ფაქტიურად 480 ცენტნერზე მეტს იღებენ.

მეჭარხლე ქალები მოსდებიან ბინდვრებს. ნაკვეთებში ჭარხალი დაუხვავებიათ. ჭარხლის ერთ-ერთი სანიმუშო ეგზემპლარი დეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიხეილ მარღიშვილის სამუშაო ნაგიდაზე. იგი 6 კილოგრამზე მეტს აწონიან.

ამბ. მარღიშვილმა და რამდენიმე მოწინავე კოლმეურნემ ინახულეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ნოსკოვში.

თავმჯდომარე აღფრთოვანებით ლაპარაკობს მდიდარ შთაბეჭდილებებზე, საბჭოთა კავშირის მოწინავე მეჭარხლეთა გამოცდილებაზე, გამოფენის ექსპონატებზე. იგი გვიამბობს, როგორ ფიქრობენ მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, — ნაკვეთებში სასუქის შეტანას და ნიადაგის დაუშავებას, სამუშაოების მექანიზაციას.

— ჭარხლის სიდიდეც სანიმუშოა ჩვენთან. გამოფენაზე ვნახეთ 3-4 კილოგრამიანი ჭარხალიც. ჩვენთან კი აი თითქმის 7-კილოგრამიანი ჭარხალი მოვიყვანეთ. მომავალ წელს, როცა მოწინავეთა გამოცდილებას გავიყენებთ და ასეთი ჭარხლის რაოდენობას გავადიდებთ, უეჭველად მოვიპოვებთ გამოფენაზე მონაწილეობის უფლებას.

ამას რწმენით ამბობს ელეფონიკიძის თავმჯდომარე. მის ხმაში თავმდაბლობა იგრძნობა და არა კვეხნა. მისი სიტყვებისა გჯერათ არა იმიტომ, რომ ენერგიული ტონით ლაპარაკობს ჯანღონით სავსე, წარმოსადეგი ვაჟკაცი, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათი საქმიანობა ამის საბუთს იძლევა.

***

როცა კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული დედაქალაქიდან დაბრუნდნენ, თანასოფლელებს ბევრი საყურადღებო ამბავი მოუთხრეს მეცხოველეობის შესახებ — წველადობაზე, შრომის მექანიზაციაზე. თავმჯდომარე მოეთათბირა გამგეობის წევრებს, პარტორგანიზაციის ნდობას ილია მარღიშვილს. შემდეგ ესაუბრნენ კოლმეურნეებს და გადაწყვიტეს ააგოთ მექანიზებული ფერმა. მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია, მაგრამ შენობის კედლები ნახევრად ამოყვანილია. მშენებლები სწრაფად და გულმოდგინედ მუშაობენ, ერთ წუთსაც არ კარგავენ სამენ მასალას. გაჭალებით ამზადებენ ს. ბაიდაური, გ. ბესთავაშვილი, ქ. თედიაშვილი და სხვები. მნახველი არ შეიცდება საუბრით მოაცდინოს ი ოდენ გულდადებული კოლმეურნეები.

კოლმეურნეები ეშურებიან მალე დამთავრონ მექანიზებული ფერმის შენობა, სადაც ელექტროენერგიას გამოიყენებენ. საკვების მოჭზადება — გარეცხვა, მოხარშვა, დაქუცმაცება და მიწოდება, პირუტყვის დარწყულება და წველაც მექანიზებული იქნება.

მშენებლობის მახლობლად წინათ აგებული მშვენიერი ბოსლებია, მაგრამ იქ მექანიზაცია არ იყო განხორციელებული, მომავალში სულ სხვა იქნება. აქვეა კოლმეურნეობის საღორე — ქვის ლამაზი ვეებერთელა შენობა. ეზოში ვეება თეთრი მსხვილი საჯიშე მწარმოებელი დადის. ეს ღორი 480 კილოგრამს იწონის. კარგი სანახავია მისი ნამრავლი, რომელსაც მზრუნველობით უვლის მოხუცი კოლმეურნე კ. ბეგალაშვილი. მან თვითეულ დედაღორზე გოგმების მიღების გეგმა 104 პროცენტით შეასრულა.

ენერგიული შრომის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ კოლმეურნეობიდან. 8 საკოლმეურნეო ბრიგადის შეჯიბრებაში დაწინაურდნენ პირველი, მეხუთე და მეშვიდე ბრიგადები, რომელსაც გ. გეკაშვილი, გ. კოზანაშვილი და ფ. ფილიშვილი ხელმძღვანელობენ. საკოლმეურნეო შრომაში გამოირჩევიან ნ. თამხუაშვილი, დ. ფილიშვილი, ნ. ელანდიშვილი, ვ. ფილიშვილი, მ. გელაშვილი, შ. მარღიშვილი, ს. ბეგალაშვილი, ს. მარღიშვილი, ე. გუბაევა და სხვები. ზოგ მათგანს ორას სამოცზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული. საკოლმეურნეო შრომაში მაგალითს იძლევიან კომუნისტები, თუნდაც პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი გ. გიკაშვილი, რგოლის ხელმძღვანელი ს. ჯერანაშვილი და სხვები. ეს ბრიგადა და რგოლი მოწინავენი არიან კოლმეურნეობაში.

***

კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ მაყვალა გელაშვილი. თვალწინ დაგიდგებათ მისი მთელი არსებით გატაცება ფიზიკური შრომით. თავის მეზობლებთან სონა და მარო გელაშვილებთან, ნადია მარღიშვილთან და სხვებთან ერთად ის ჭარხლის აღლეებზე გულმოდგინედ მუშაობდა. მზისგან დამწვარ. ეშხიან, მომღიმარ სახეზე და შავ, სხივიან თვალებში კმაყოფილება ეხატებოდა. ამ გოგონამ ინახულა საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მოსკოვი, ჩვენი ქვეყნის მრავალი ღირსშესანიშნაობა, დათვალიერა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, გაეცნო მოწინავე მეჭარხლეებს და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა მშობლიურ სოფელში. განცდილ სიხარულს რა ჩაუქრობს, მაგრამ ყველაფერი როდი ძალუძს გადმოგვცეს სიტყვით. ამ სიხარულით გამოწვეულ ახალ ენერგიას იგი უხმოდ აქსოვს უანგარო შრომაში, ცდილობს რაც შეიძლება მეტი მისცეს კოლმეურნეობას, საყვარელ საშობლოს, მხარში ამოუდგეს თავის ოჯახის წევრებს, მოზარდებს, მოსწავლეებს.

— ერთი წუთითაც ვერ გავჩერდები უსაქმოდ. უშრომლად რაა ცხოვრება? — ამბობდა ის და ძუნწად ლაპარაკობდა იმ სიხარულზე, რაც მას მოუტანა შრომამ. ღიმი ეფინებოდა სახეზე. უთუოდ იმ ბედნიერ და ნათელ მომავალზე ფიქრობდა, რაც საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ გადაუშალა ჩვენს ადამიანებს, ჩვენს ქალებსა და ახალგაზრდობას. შრომაში ჩაქსოვილია არა მხოლოდ მისი შედეგებით გამოწვეული ინდივიდუალური სიხარული, არამედ ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული. ეს იგრძნობა ყველგან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე და აქაც, ლეთეთში, სადაც ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე ყოველდღიურად დაუღალავად მუშაობს.

წინათ ლეთეთში, ისე როგორც ყველგან, ძნელი და უფერული იყო გლეხის ცხოვრება. მძიმე შრომით ილაჯგაწყვეტილი გლეხობის მიერ შექმნილი დოვლათით განცხრომას ეძლეოდნენ მემამულეები და მევახშეები, ვაჭრები და ეკლესიის მსახურნი. მატერიალური დოვლათის შემქმნელნი შიმშილობდნენ და ყოველგვარ დამცირებას განიცდიდნენ. უცხოელ დამპყრობთა ბარბაროსულ შემოსევას არაერთხელ აუწოკებია ჩვენი ქალაქები და სოფლები. ჩვენს ახალგაზრდობას მხოლოდ წიგნში ამოუკითხავს ბატონის მიერ კარმიდამოს წართმევის, ადამიანის ყიდვა-გაყიდვისა და ბისი ოფლით მონაგარის მიტაცების ამბავი, იმ ოფლის, ცრემლისა და სისხლის ამბავი, რაც ჩვენს წინაპრებს დაეღვრათ მონურ შრომასა და უთანასწორო ბრძოლაში.

ახლა მშრომელი თავის უფლებებში გვევლინება. იგი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა. შრომას ნამდვილი ფასი დაედო. ნატერიალური დოვლათის შემქმნელი ხალხი შემოქმედებითი, ბეჯითი შრომით თვითონვე ჰედს ბედნიერ მომავალს.

მაღლდება კოლმეურნეთა კულტურული დონე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. სოფლებში გაყვანილია გზები, მოძრაობენ ნანქანები, მუშაობენ აგრონომები და ზოოტექნიკოსები, მასწავლებები და ექიმები, სასოფლო კლუბის გამგეები და ინჟინრები, აგებულია კოლმეურნეობის კანტორა, სკოლისა და ბიბლიოთეკის შენობა. ნახულობენ კინოსურათებს, უსმენენ რადიოს, აწყობენ ლექციებს, მოხსენებებსა და აგიტსაუბრებს. დიდი ხნის მიტოვებული ბანიანი სახლების ადგილზე აღმართულან კოლეურნეთა ლამაზი საცხოვრებელი სახლები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეოხებით საბჭოთა სოფელი ახალ დიდ გზაზე, კომუნისტური მშენებლობის გზაზე გადმოვიდა. მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილა ძველი ცხოვრების ნაშთები. ვხვდებით ზარბაკებს, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს. საკმარისად არ წარმოებს ორგანიზატორული მუშაობა კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და სოფლის ყველა მშრომელთა კულტურული დასვენების მოსაწყობად, ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

დიადი საბჭოთა ცხოვრებისათვის შექმნილი პირობები საკოლმეურნეო სოფლის ყოველმხრივი განვითარების განუსაზღვრელ შესაძლებლობას იძლევა აქაც, ლეთეთშიც, სადაც მშრომელები მტკიცედ ადგანან კომუნისტური მშენებლობის დიად და ნათელ გზას.

ე. ხუნდაძე.

სოფელი ლეთეთი, ოქტომბერი.

ნორვეგიიდან გამოემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

ოსლო, 2 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ოსლოდან საბჭოთა კავშირში გაემგზავრნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა არმიის მიერ ჩრდილოეთ ნორვეგიის განთავისუფლების ათი წლისთავის დღესასწაულში, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. შჩერბაკოვი და კონტრ-ადმირალი ს. დ. ზიუზინი. ვაგზალზე ისინი გააცილეს სსრ კავშირის ელჩმა ნორვეგიაში გ. პ. არკადიევმა, ნორვეგიის თავდაცვის შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ბერგმა, თავდაცვის სამინისტროს საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ჰასელმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ მურმა და სხვებმა.

სინხუას საagენტო კუნძულების ზემო და ქვემო დაჩენის დაბომბვის შესახებ

პეკინი, 2 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტის ცნობით, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ავიაციამ გუშინ ძლიერ დაბომბა კუნძულები ზემო და ქვემო დაჩენი, რომლებიც ოყუბარებული აქვთ ჩანკაიშელებს. მოსაბილია ბევრი სამხედრო ობიექტი. პირდაპირი მოხვედრების შედეგად ჩანკაიშელთა ხომალდზე ხანძარი გაჩნდა. ყველა თვითმფრინავმა წარმატებით შეასრულა დავალება და ბაზაში დაბრუნდა.

კუნძულები ზემო და ქვემო დაჩენი მდებარეობენ ჯეძიანის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს პირდაპირ, თითქმის 20 კილომეტრზე კონტინენტური ჩინეთიდან. ისინი ჩანკაიშელთა ჯარებმა დიოკავეს მას შემდეგ, რაც საბალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ კონტინენტური ჩინეთი გაათავისუფლა, და ბაზად იყენებდნენ ჩინეთის თევზსაჭერი და სავაჭრო გემების შესაყოროდ და გასაძარცვავად, აგრეთვე სანაპირო რაიონების მოსახლეობის დასაშინებლად. კუნძულებზე 10 ათასზე მეტი ჩანკაიშელთა ჯარისკაცი და ათზე მეტი სამხედრო ხომალდია. იქვე შექმნილია ამერიკის ჯაშუშური ცენტრის „უესტერნ ენტერპრაიზის“ განყოფილება, საიდანაც კონტინენტურ ჩინეთში გზავნიან აგენტებს საბოტაჟისა და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

პეკინი, 2 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გუშინ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს ჩანკაიშელთა ორი თვითმფრინავი, რომლებიც თავს დაესხნენ ფუძიანის პროვინციას.

ამერიკელები კვლავ არღვევენ შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 2 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

13 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები, რომლებმაც დაარღვიეს შეთანხმება დაზავების შესახებ, 23-ჯერ შეიჭრნენ იმ რაიონებში, რომლებსაც კონტროლს უწევს კორეა-ჩინეთის მხარე.

დაზავების სამხედრო კომისიის მდივანთა დღევანდელ სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა ამერიკის მხარის ყურადღება მიაქცია დაზავების შესახებ შეთანხმების ამ არაერთგზის დარღვევას და მოსთხოვა ამერიკის მხარეს მიიღოს ღონისძიებანი მომავალში ასეთი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

ინდოეთს გადაეცა საფრანგეთის სამფლობელოები ინდოსტანის ნახევარკუნძულზე

დელი. 2 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პონდიშერში ინდოეთის მთავრობის წარმომადგენლებს ოფიციალურად გადაეცათ ინდოეთში საფრანგეთის ყოფილი სამფლობელოების (პონდიშერი, კარიკალი, მაე, იანაონი) მმართველობა.

ინდოეთის გენერალური კონსული პონდიშერში კეკალ სინგი დანიშნულია ინდოეთის უმაღლეს კომისრად საფრანგეთის ყოფილ სამფლობელოებში.

ინდოეთის კავშირის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა და პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გაგზავნეს წერილები, რომლებშიც ისინი საფრანგეთის ყოფილი სამფლობელოების მოსახლეობას ულოცავენ ინდოელ ხალხთან გაერთიანებას.

პონდიშერსა და საფრანგეთის სხვა ყოფილ სამფლობელოებში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები და სადღესასწაულო მსვლელობანი.

კონკურენციის გამწვავება საფეიქრო საქონლის მსოფლიო ბაზარზე

ლონდონი, 3 ნოემბერი. (საკდესი). სიტყვა წარმოთქვა რა საფეიქრო საქონლის საბითუმო ვაჭრობის ასოციაციის ყოველწლიურ კრებაზე ბანჩესტერში, ასოციაციის თავმჯდომარემ დუგლას რიდიკმა აღნიშნა კონკურენციის მკვეთრი გამწვავება და ინგლისის მდგომარეობის გაუარესება საფეიქრო საქონლის მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენ, თქვა მან, ამჟამად საქმე გვაქვს იაპონიის, შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების მზრავ კონკურენციის გაძლიერებასთან. რიდიკმა აღნიშნა, რომ საფეიქრო საქონლის ინგლისელ ვაჭრებთან განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს იაპონიის ექსპორტის სწრაფი გაფართოება და ინგლისის ექსპორტის შემცირება. რაც შეეხება ხელოვნურ აბრეშუმს, თქვა რიდიკმა, დასავლეთ გერმანიის ექსპორტი კიდევ უფრო მეტი პროპორციით იზრდება.

ჩვენ, განაცხადა რიდიკმა, უაღრესად გვაწუხებს მდგომარეობა ჩვენთვის დიდმნიშვნელოვან აღმოსავლეთ აფრიკის ბაზრებზე, სადაც მოთხოვნილება ინგლისურ საქონელზე არა მარტო მცირდება, არამედ სადაც ზოგიერთი ეგზარი ყოველგვარ შესაძლებლობას იყენებს, რათა არ იყიდოს ინგლისური საქონელი, რადგან 1955 წელს ამ ბაზრებზე შემოვა იაპონური საქონლის დიდი პარტიები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხზე საერთო დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ურუგვაის, საფრანგეთის, კოლუმბიის, კუბის, ლიბერიის, ინდოეთის, პოლონეთისა და ეგვიპტის წარმომადგენლებმა.

დასაგეერდნენ რა ზოგად ფრაზებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საერთო პრობლემის შესახებ ინგლისის, საფრანგეთის, კოლუმბიის, კუბისა და ურუგვაის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ავსტრალიის, პაკისტანისა და ტაილანდის დელეგაციათა რეზოლუციის პროექტს, რომელშიც უშიშროების საბჭოს წინადადება ეძლევა განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლაოსისა და კამბოჯის მიღების საკითხი. საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლები არსებითად კვლავ ადგნენ თავიანთ წინანდელ პოლიტიკას — ზოგიერთი ქვეყნის მიმართ დისკრიმინაციის და ზოგიერთის მიმართ ფავორიტიზმის პოლიტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხში. ინგლისის წარმომადგენელმა მოითხოვა გაგრძელდეს „კეთილი სამსახურის“ კომიტეტის საქმიანობა.

კოლუმბიისა და კუბის წარმომადგენლები გამოვიდნენ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ და, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა მიუხედავად, ამტკიცებდნენ, თითქოს ახალ წევრთა მიღების საკითხის გადაწყვეტისას საკმარისი იყოს მარტო გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი.

ლიბერიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლაოსისა და კამბოჯის შესახებ გადაწყვეტილების განხილვა და მიღება, როგორც ამას ავსტრალიის, პაკისტანისა და ტაილანდის რეზოლუციის პროექტი მოითხოვს, დადებითად ვერ გადაწყვეტს ახალ წევრთა მიღების მთელ პრობლემას. ამტომ ჩემი დელეგაცია, თქვა მან, ამ პროექტისათვის კენჭისყრაში თავს შეიკავებს.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაცისტინმ გააკრიტიკა შინაარსი „კეთილი სამსახურის“ კომიტეტის მოხსენებისა, რომელშიც მოყვანილია მხოლოდ იმის ცნობები, თუ რამდენი ხმა მისცეს უშიშროების საბჭოს სხდომებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამა თუ იმ ქვეყნის მიღების შესახებ. პოლონეთის დელეგატმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „კეთილი სამსახურის“ კომიტეტის მოხსენებას, აგრეთვე სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში ზოგიერთი დელეგატის გამოსვლებს ტენდენცია აქვს თავი აარიდოს მთლიანად პრობლემის არსის განხილვას.

პოლონეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები კვლავ აწარმოებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებისას ზოგიერთი ქვეყნის მიმართ დისკრიმინაციის და ზოგიერთი ქვეყნის მიმართ ფავორიტიზმის პოლიტიკას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი ქვეყნის მიმართ დისკრიმინაციის და ზოგიერთის მიმართ ფავორიტიზმის პოლიტიკას. ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ბოლივიის, ბოლიერეთის, ეკვადორის, ბელგიის, ბოლიერეთის, ეკვადორის, ბოლიერეთის, ეკვადორის, ბოლიერეთის, ეკვადორ